

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მოსაზრებები “პროკურატურის შესახებ” ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით

კონსტიტუციურ რეფორმასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია, პროკურატურის მოწყობის, საქმიანობის და ანგარიშვალდებულების ისეთი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, რომელიც შეძლებს კონსტიტუციური რეფორმის მიზნების მიღწევას და დამოუკიდებელი და პოლიტიკურად ნეიტრალური პროკურატურის სისტემის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. მიგვაჩნია, რომ ამ მიზნის მისაღწევად “პროკურატურის შესახებ” ორგანული კანონის პროექტის ინიცირებულ ვერსიას, არსებითი გადამუშავება სჭირდება. მნიშვნელოვანია პროკურატურის მართვის პროცესი, ისევე როგორც გენერალური პროკურორის არჩევის წესი დაცული იყოს პოლიტიკური გავლენებისგან, რასაც წარმოდგენილი კანონპროექტი ვერ უზრუნველყოფს.

ქვემოთ დეტალურად წარმოგიდგენთ, სამართლებრივ შენიშვნებსა და მოსაზრებებს კანონპროექტზე და გამოვთქვამთ მზაობას კანონპროექტის დახვეწაში მონაწილეობის შესახებ.

1. საპროკურორო საბჭო - დაკომპლექტება და უფლებამოსილება

განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმით, საპროკურორო საბჭო კონსტიტუციური სტატუსის მქონე ორგანოდ ყალიბდება, რომელმაც მთლიანი სისტემის დამოუკიდებლობა, ეფექტიანობა და გამჭვირვალობა უნდა უზრუნველყოს. კონსტიტუციური ჩანაწერით არსებითად იცვლება საპროკურორო საბჭოს როლი და ის პროკურატურის სისტემაში მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოდ ყალიბდება. საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების ლეგიტიმაცია დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესი იქნება თუ არა დემოკრატიული და პოლიტიკურად ნეიტრალური.

საქართველოს პარლამენტის მიერ ინიცირებული პროექტით, საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესი, პრაქტიკულად არ განსხვავდება დღეს მოქმედი რეგულაციისგან. წარმოდგენილი პროექტით, მის შემადგენლობაში კვლავ რჩებიან საქართველოს პარლამენტის წევრები, რაც საბჭოს და შესაბამისად, პროკურატურის სისტემის მართვაში, პოლიტიზირების რისკებს აჩენს. რაც შეეხება, პარტიული კვოტების სისტემის შენარჩუნებას (უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენლების დანიშვნას საბჭოში), ეს მოდელი ვენეციის კომისიის მიერ ერთ-ერთ ყველაზე არასასურველ მოდელად არის მიჩნეული¹.

¹ Joint Opinion of the Venice Commission, the Consultative Council of European Prosecutors (CCPE) and OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), on the draft Amendments to the Law on the Prosecutor's Office of Georgia, endorsed by the Venice Commission at its 104th Plenary Session (Venice, 23-24 October 2015), Par:42-43 <https://www.venice.coe.int/webforms/documents/?opinion=811&year=all>

მართალია, შემოთავაზებული ვერსია, საბჭოს შემადგენლობაში უშუალოდ იუსტიციის მინისტრის მონაწილეობას აღარ მოიაზრებს, თუმცა იუსტიციის მინისტრის მანდატი საბჭოს საქმიანობაში შემოთავაზებული ცვლილებებითაც შენარჩუნებულია. საბჭოს ერთი წევრის დასახელების უფლებამოსილებას კანონპროექტი იუსტიციის მინისტრს ანიჭებს. გაუგებარია, იუსტიციის სამინისტროსგან და სამთავრობო კაბინეტისგან პროკურატურის სრული დისტანცირების პირობებში, რა განაპირობებს იუსტიციის სამინისტროს აუცილებელ წარმომადგენლობას საპროკურორო საბჭოში, მითუმეტეს იმ პირობებში, როცა იუსტიციის მინისტრი სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრაზეც კი არ იქნება პასუხისმგებელი.

პოლიტიკური ზეგავლენის საფრთხეებთან ერთად, შემოთავაზებული ვერსია, საბჭოს შემადგენლობაში მოსამართლე წევრების და მოქმედი (პრაქტიკული საქმიანობის განმახორციელებელი) ადვოკატების წარმომადგენლების შეყვანით, ინტერესთა კონფლიქტის რისკებსაც შეიცავს.

საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების შემოთავაზებული ვერსია ვერ პასუხობს კონსტიტუციური რეფორმის სულისკვეთებას და იდეას, რომ პროკურატურის სისტემის დამოუკიდებლობა პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებულმა საპროკურორო საბჭომ უზრუნველყოს.

ამ მიმართულებით არსებული არაერთი საერთაშორისო გამოცდილება² თუ რეკომენდაცია ცხადად მიუთითებს, რომ საპროკურორო საბჭოს ჩამოყალიბების ძირითადი იდეა პროკურატურის დეპოლიტიზაცია და ხელისუფლების შტოებისგან მისი ავტონომიურობის უზრუნველყოფაა,³ რაც საპროკურორო საბჭოს ამგვარი დაკომპლექტების ფარგლებში ვერ მიიღწევა.

იმ მიზნით, რომ საპროკურორო საბჭომ შეძლოს უპასუხოს კონსტიტუციური რეფორმის მიზნებს და შეამციროს პროკურატურის სისტემაში ცალმხრივი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საფრთხეები, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, კანონის ინიცირებულ ვერსიაში არსებითად შეიცვალოს საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესი:

- ორგანულმა კანონმა უნდა შექმნას იმგვარი რეგულაცია, რომლითაც საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტება მაქსიმალურად დაეფუძნება პროფესიულ კრიტერიუმებს. საბჭოს შემადგენლობიდან კი გამოირიცხოს პოლიტიკური სუბიექტების მონაწილეობა (მათ შორის, პარლამენტის წევრები, იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული პირი) და გაძლიერდეს პროფესიული/საზოგადოებრივი ჯგუფების როლი;
- პროკურორთა კონფერენციის მიერ საპროკურორო საბჭოს უმრავლეს წევრთა (საპროკურორო საბჭოს 8 წევრი) არჩევა მართალია უზრუნველყოფს ამ ორგანოს შიდა ლეგიტიმაციას, თუმცა მნიშვნელოვანია ცვლილებები ასევე შეეხოს კონფერენციის

² დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: „პროკურატურის სისტემის რეფორმა“ ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბილისი, 2018. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/uploads/products/pdf>

³ Joint Opinion of the Venice Commission, the Consultative Council of European Prosecutors (CCPE) and OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), on the draft Amendments to the Law on the Prosecutor's Office of Georgia, endorsed by the Venice Commission at its 104th Plenary Session (Venice, 23-24 October 2015), ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdf=CDL-AD\(2015\)039-e&lang=fr](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdf=CDL-AD(2015)039-e&lang=fr)

მიერ პროკურორთა არჩევის წესს. მიგვაჩნია, რომ ყველა პროკურორს (და არა მხოლოდ პროკურორთა 30 წევრიან ჯგუფს) უნდა ჰქონდეს კანდიდატურის ნომინირების უფლება;

- რაც შეეხება არაპროკურორ წევრებს, მიგვაჩნია, რომ პარლამენტმა საბჭოს არაპროკურორი წევრები (4 არაპროკურორი წევრი) უნდა აირჩიოს არა საკუთარი შემადგენლობიდან, არამედ ღია კონკურსის საფუძველზე, პოლიტიკური კონსენსუსის პრინციპზე დაყრდნობით. დამატებით 3 არაპროკურორი წევრის არჩევის უფლება უნდა მიენიჭოს საქართველოს სახალხო დამცველს, კონკურსის გზით;
- არაპროკურორი წევრების არჩევისთვის მიზანშეწონილია, პარლამენტის რეგლამენტით განისაზღვროს, კანდიდატურების წარდგენის ვადები, შესული დოკუმენტაციის შემოწმების პროცესი. ასევე, აუცილებელია გაიწეროს, კანდიდატების ღია საკომიტეტო მოსმენის წესი და მათთვის, შეკითხვების დასმის შესაძლებლობა.

2. საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებები

საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტებასთან ერთად, კანონპროექტის ინიცირებული ვერსიით თითქმის არ იცვლება საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებაც და მხოლოდ ზოგადი, ტექნიკური ხასიათის ცვლილებებით შემოიფარგლება.

ამ მოდელშიც, საპროკურორო საბჭო პროკურატურის სისტემაში არამუდმივმოქმედი ორგანოს სახით რჩება, რომლის ფუნქციური როლიც სისტემაში, არა თუ იზრდება კონსტიტუციური რეფორმის გათვალისწინებით, არამედ მნიშვნელოვნად სუსტდება. დღეს მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით⁴, შემოთავაზებული ვერსიით, საპროკურორო საბჭო იკრიბება მხოლოდ წელიწადში ერთხელ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა და ის კარგავს პროკურატურის საქმიანობის კონტროლის მექანიზმებსაც. თუ დღეს მოქმედი კანონით საპროკურორო საბჭოს აქვს უფლებამოსილება ექვს თვეში ერთხელ მაინც მოისმინოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის ანგარიში დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის, სტატისტიკური მაჩვენებლების, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტული მაჩვენებლების შესახებ და სხვა, შემოთავაზებული რედაქციით აღნიშნული ანგარიშის წარდგენის ვადა ერთ წლამდე იწევს. რაც საპროკურორო საბჭოს, პროკურატურის სისტემაში არა თუ მყარად ინტეგრირებულ, კოლეგიური მმართველობის მქონე ორგანოდ აყალიბებს, არამედ კიდევ უფრო დისტანცირებულს და განწყენებულს ხდის მას მთლიანი სისტემისგან.

კონსტიტუციურიმა რეფორმამ ნათლად განსაზღვრა საპროკურორო საბჭოს ფუნქციური როლი პროკურატურის სისტემაში, რომელიც ერთმნიშვნელოვნად არ შემოიფარგლება მხოლოდ გენერალური პროკურორის დანიშვნის უფლებამოსილებით. კონსტიტუციური რეფორმის ლოგიკა ეს რომ ყოფილიყო, კონსტიტუციაში არ გაჩნდებოდა ჩანაწერი, რომელიც საპროკურორო საბჭოს როლს პროკურატურის სისტემის დამოუკიდებლობას, ეფექტურობასა და გამჭვირვალობას უკავშირებს.

⁴დღეს მოქმედი რედაქციით საპროკურორო საბჭო იკრიბება სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ მაინც. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8¹

მიუხედავად იმისა, რომ საბჭო ამ მოდელშიც ინარჩუნებს კონკრეტული სუბიექტების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, გენერალური პროკურორისთვის სხვადასხვა რეკომენდაციის წარდგენის უფლებამოსილებას, წარმოდგენილი პროექტით საბჭოს აქტიური როლი მხოლოდ გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცესში იკვეთება. ამ ვითარებაში კი რთულად წარმოსადგენია, საპროკურორო საბჭომ შეძლოს კონსტიტუციური დონეზე განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

საპროკურორო საბჭოს მიერ კონსტიტუციური რეფორმის მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია, გადაიხედოს კანონის ინიცირებული ვერსიით საპროკურორო საბჭოსთვის განსაზღვრული უფლებამოსილებები. კონკრეტულად კი:

- პროკურატურის ამგვარი მოწყობის და ქვეყანაში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, საპროკურორო საბჭო პროკურატურის სისტემაში ერთგვარი მმართველობით უფლებამოსილების მქონე, მუდმივმოქმედი კოლეგიური ორგანოს სახით ჩამოყალიბდეს;
- არსებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საბჭოს უფლებამოსილება იმგვარად განისაზღვროს, რომ მას ჰქონდეს როგორც ზოგადი საკადრო, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება;
- საბჭოს ფუნქციონირების ამგვარი მოწყობა მნიშვნელოვნად აისახება გენერალური პროკურორის როლზეც ორგანოში. ამ მოდელში გენერალური პროკურორი დამატებითი ადმინისტრაციული ფუნქციებისგან გათავისუფლდება და ის მიმართული იქნება ქვეყანაში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ეფექტურ და სრულყოფილ განხორციელებაზე. უფლებამოსილებათა ამგვარი გადანაწილება შეინარჩუნებს პროცესუალური იერარქიის პრინციპს და გენერალურ პროკურორს გახდის ძლიერი დამოუკიდებლობის მქონე, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ მთავარ ფიგურად სახელმწიფოში.

3. გენერალური პროკურორის დანიშვნა

ინიცირებული პროექტით არც გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის წესი იცვლება მნიშვნელოვნად. შემოთვალისწინებულ მოდელში სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მოქმედი რეგულაციით იუსტიციის მინისტრისთვის მინიჭებული უფლებამოსილება ერთგვარად გადმოდის საპროკურორო საბჭოზე და ეს პროცესი მთავრობისგან დამოუკიდებლად ხორციელდება. კანდიდატის შერჩევის ძირითადი პროცედურა კი უცვლელია.

ამ რეგულაციაში კვლავ პრობლემური რჩება გენერალური პროკურორობის კანდიდატის შერჩევის დასაბუთებულობის საკითხი. რამდენადაც, კანონი საბჭოს არ ავალდებულებს დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება და საზოგადოებისთვის ნათელი გახადოს, გარდა ზოგადი საკანონმდებლო მოთხოვნებისა, რა ძირითად კრიტერიუმებზე დაყრდნობით ან რა პროცედურული ეტაპების გავლით შეარჩია გენერალური პროკურორობის კონკრეტული კანდიდატი.

კანონპროექტის შემოთავაზებული მოდელით, პრობლემად რჩება გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადასთან დაკავშირებით საკითხი. ამ მოდელშიც, ისევე როგორც არსებულ რედაქციაში, ერთი და იგივე პირი, გენერალური პროკურორის თანამდებობაზე შესაძლოა აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადასთან მიმართებით, საერთაშორისო დონეზე არსებული მიდგომები ცალსახად მხარს უჭერს ამ თანამდებობაზე პირის ერთჯერადად დანიშვნის შესაძლებლობას⁵. ვენეციის კომისია ამგვარ რეგულირებას ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს გენერალური პროკურორის დამოუკიდებლობის და პოლიტიკური მიუკერძოებლობის გარანტიად.

პროკურატურის მთლიანი სისტემის დამოუკიდებლობა კი ბევრად არის დამოკიდებული მისი ხელმძღვანელი პირის დამოუკიდებლობის ხარისხზე. გენერალური პროკურორის სტატუსის და მისი როლის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, წარმოდგენილ პროექტში გადაიხედოს გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის მარეგულირებელი ნორმები. უფრო კონკრეტულად კი:

- გენერალური პროკურორის შერჩევისთვის ერთთვიანი კონსულტაციების სტადია ღია კონკურსის პროცედურით ჩანაცვლდეს და საპროკურორო საბჭოს შიგნით გადაწყვეტილების მიღება რამდენიმე საფეხურიან ღია პროცედურას დაეფუძნოს.
- კონკურსში მონაწილეობა უნდა შეეძლოს ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც დააკმაყოფილებს კანონით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამასთან საპროკურორო საბჭომ ყველა იმ კანდიდატთან, რომელიც აკმაყოფილებს ფორმალურ კრიტერიუმებს, საბჭოს ღია სხდომაზე, გასაუბრება უნდა ჩაატაროს;
- იმის გათვალისწინებით, რომ კონსტიტუციით გენერალური პროკურორის არჩევისთვის პარლამენტში სრული შემადგენლობის უმრავლესობაა განსაზღვრული, მნიშვნელოვანია კანონმდებლობამ ამ პროცესის მეტი ლეგიტიმაციისთვის დამატებითი გარანტიები შექმნას საპროკურორო საბჭოს ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისას. საპროკურორო საბჭომ პარლამენტს უნდა წარუდგინოს, კრიტერიუმების მიხედვით საუკეთესო შეფასების მქონე კანდიდატი და წერილობით უნდა დაასაბუთოს ნომინირებულ კანდიდატთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილება;
- ასევე მნიშვნელოვანია, პარლამენტში გენერალური პროკურორის კანდიდატის შერჩევის საკითხის განხილვისას, უზრუნველყოფილი იყოს კანდიდატის საჯარო საკომიტეტო მოსმენა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.
- გენერალური პროკურორის დამოუკიდებლობის და პოლიტიკური მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, ინიცირებული ვარიანტიდან ამოღებულ იქნას ჩანაწერი, რომელიც გენერალური პროკურორის ხელახალი არჩევის შესაძლებლობას ადგენს.

⁵ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: „პროკურატურის სისტემის რეფორმა“ ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბილისი, 2018. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/uploads/products/pdf>

⁶ იხ: EUROPEAN STANDARDS AS REGARDS THE INDEPENDENCE OF THE JUDICIAL SYSTEM: PART II – THE PROSECUTION SERVICE Adopted by the Venice Commission at its 85th plenary session (Venice, 17-18 December 2010) Par:VIII

4. საპარლამენტო კონტროლი პროკურატურის საქმიანობაზე

კანონპროექტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირვას პროკურატურის საქმიანობაზე საპარლამენტო ზედამხედველობის საკითხს, რომელიც ეხება თითქმის ყველა იმ მექანიზმს, რაც საპარლამენტო კონტროლის თვალსაზრისით პარლამენტის რეგლამენტის პროექტმა გაითვალისწინა.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერი საპარლამენტო კონტროლის მექანიზმის არსებობა ქვეყანაში, დამოუკიდებელი კონსტიტუციური სტატუსის მქონე ორგანოებთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რამდენადაც შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს ამ ორგანოების საქმიანობის კონტროლის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მექანიზმს. დადებითად უნდა შეფასდეს ის რომ, პროექტმა გაითვალისწინა ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ საქმეებზე ანგარიშის წარდგენის დაუშვებლობა. რაც მნიშვნელოვანი გარანტიაა პროკურატურის დამოუკიდებლობის და მის საქმიანობაში ჩაურევლობისთვის. თუმცა ამ საკითხან მიმართებით მნიშვნელოვანი იქნება ყურადღების გამახვილება რამდენიმე ფაქტორზე. კონკრეტულად:

- უმჯობესი იქნება, პროკურატურის საპარლამენტო ანგარიშვალდებულებასთან და ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად მოწესრიგდეს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით. ხოლო „პროკურატურის შესახებ“ ორგანულ კანონში, დარჩეს მხოლოდ ზოგადი მითითებით ნორმა, რომლითაც დადგინდება რომ საპარლამენტო ზედამხედველობის და ანგარიშგების საკითხები წესრიგდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.
- მნიშვნელოვანია, ამ კანონში ცხადად აღინიშნოს, რომ ყოველწლიურ ანგარიშს წარადგენს უშუალოდ გენერალური პროკურორი, ხოლო, საპარლამენტო კონტროლის სხვა პროცედურებთან მიმართებით (მაგალითად ინტერპელაცია) პარლამენტთან შესაბამის ფორმატში ურთიერთობის შესაძლებლობა ჰქონდეს გენერალური პროკურორის მოადგილესაც.
- მნიშვნელოვანია, კანონმა დეტალურად განსაზღვროს ანგარიშვალდებულების მასშტაბი. კონკრეტულად კი, ყოველწლიური ანგარში, კანონში მითითებულ მონაცემებთან ერთად უმჯობესია ასევე მოიცავდეს სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, სადაც ასევე იქნება მონაცემები დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ, გავრცელებული დანაშაულის ტიპების და მათი ინტენსივობის შესახებ. პროკურატურის საქმიანობის სტრატეგიის და სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია ანგარიში ასევე ეხებოდეს ქვეყნის ვიქტიმოლოგიური კვლევის შედეგების შეფასებას.

5. კანონით რეგულირებული სხვა საკითხები

- ინიცირებული პროექტი სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს სპეციალიზებული პროკურატურის შექმნის შესაძლებლობას სისტემაში. თუმცა, კანონი ამ მიმართულებით საკმაოდ ზოგადია. პროექტიდან არ იკვეთება თუ რა კონკრეტულ შემთხვევებში იქნება სპეციალიზებული პროკურატურის შექმნა

შესაძლებელი, ბუნდოვანია ასევე სპეციალიზაციის რა პრინციპის შეიძლება ეყრდნობოდეს ეს გადაწყვეტილება;

- წარმოდგენილი პროექტი, ისევე როგორც მოქმედი კანონი, შეიცავს ბევრ ისეთ ნორმას რომელიც სიხლის სამართლის პროცესის მოწესრიგების საგანია. მაგალითად, საპროკურორო აქტებთან დაკავშირებული საკითხები. უმჯობესი იქნება, მსგავს თემებთან დაკავშირებით კანონმა ზოგადად მიუთითოს, რომ აღნიშნული საკითხები რეგულირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით;
- მნიშვნელოვანია, „პროკურატურის შესახებ“ ორგანულ კანონში, ისევე როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სხვა საკანონმდებლო აქტებში ნათლად აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრა წარმოადგენს არა გენერალური პროკურორის, არამედ პარლამენტის უფლებამოსილებას. საკანონმდებლო დონეზე დაზუსტებას საჭიროებს ასევე რა ტიპის დოკუმენტია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის წესი. კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, ისევე როგორც წარმოდგენილი პროექტით, დანაშაულის კოორდინაციის წესს ამტკიცებს საქართველოს მთვრობა. იმ პირობებში, როცა პროკურატურა უკვე აღარ წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში არსებულ ორგანოს, მნიშვნელოვანია გადაიხედოს, რამდენად თავსებადია პროკურატურის დღევანდელ სტატუსთან, აღნიშნული დოკუმენტის საქართველოს მთვრობის მიერ დამტკიცება.
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით, საგამომიებო და ტერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობის განსაზღვრა გენერალური პროკურორის კომპეტენციად არის მიჩნეული. აღნიშნული საკითხის ერთპიროვნულმა გადაწყვეტამ შესაძლოა პრაქტიკაში მნიშვნელოვანი პრობლემები შექნას. ამიტომ, მიზანშეწონილია საგამომიებო და ტერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობის საკითხები პირდაპირ კანონით განისაზღვროს და ის არ იყოს დამოკიდებული გენერალური პროკურორის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზე.
- წარმოდგენილი კანონპროექტი, პროკურატურის სისტემაში საპროკურორო საბჭოს პარალელურად სხვა კოლეგიური ორგანოების არსებობასაც ითვალისწინებს. მაგალითად გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოები, რომლის ძირითადი უფლებამოსილებაც კანონპროექტის შემოთავაზებული ვერსიით კარიერის მართვა, ეთიკისა და წახალისების საკითხების გადაწყვეტა უნდა იყოს. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ სისტემაში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ერთპიროვნულად არ იქნება მიღებული და დიდწილად ეს უფლებამოსილება კოლეგიურ რგოლზე გადავა თუმცა ვფიქრობთ, დამატებით განხილვას საჭიროებს საპროკურორო საბჭოს პარალელურად ამ ორგანოების ფუნქციონირების საკითხი. არსებული პრაქტიკის, და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ისეთი თემები, როგორიცაა საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა და

განხორციელება, დისციპლინური პასუხისმგებლობა, უშუალოდ საპროკურორო საბჭოს კომპეტენციას წარმოადგენდეს.

- საკანონმდებლო პაკეტი ასევე ითვალისწინებს ცვლილებებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში. ორივე კანონში, ცვლილება ეხება იმ მუხლებს, რომლებიც გენერალური ინსპექციის მოკვლევის შედეგების გადამისამართებას განსაზღვრავს. უფრო კონკრეტულად კი, დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გენერალურ ინსპექციას ავალდებულებს ინფორმაცია რეაგირების მიზნით გადასცეს გენერალურ პროკურატურას. („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-5 პუნქტი, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი). აღსანიშნავია, რომ ორივე კანონში 2018 წლის 21 ივლისის კანონით შევიდა ცვლილებები, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, რომელიც 2019 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს. 2018 წლის ივლისის ცვლილებით, გენერალური ინსპექციის მოკვლევის საფუძველზე, შესაბამისი პირების ქმედებაში დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს გენერალურ პროკურატურას ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ორივე კანონში აღნიშნული ჩანაწერი დარჩეს უცვლელად.